10
ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მე-3 ტელეფონი №76. ოთხშაბათი 22 მარტი 1917 წ.

სამშობლო

გაზეთის ფასი:
წლი-რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ლირს 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭვდა თითოჯერ არა უმეტეს სამ გამოცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. კნ ს. ნ. მიქელაძის სახლში.

№ 577 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 577

22 მარტს ოთხშაბათს ოლასკურის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილის

ნიკოლოზ (კოკი) ქომეთიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებული მშობლები ვასილ პეტრეს ძე და მეუღლე თებრონე ანდრია **კაჭარავას** ასული, ბიძა და ბიცოლა ანტონ პეტრეს ძე და მეუღლე კასიანე გრიგოლი ძოძუაშვილის ასული **ქომეთიანი**. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.

541—1

ნიკოლოზ ილიას ძე კურცხალია შვილებით აუწყებს ნათესავთ და მეგობართ, რომ ხუთშაბათს, 23 მარტს, დილით 11 საათზე, **მთავარ ანგელოზის ეკლესიაში** ბაღის პირდაპირ გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის მეუღლის

ელისაბედ (მაშო) აბდუშელიშვილის ასულის კურცხალიას

სულის მოსახსენებლათ. 1—1.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჯიმოვებისა

ჰოსპიტლის ქუჩაზე, საკუთარ დიდებულ შენობაში.
ოთხშაბათს, 22 და ხუთშაბათს, 23 მარტს:

გაიმართება დიდი **ელეგანტური** წარმოდგენა, რაიცა შესდგება 3 შესანიშნავი განყოფილებისაგან და დიდი მრავალ-ფეროვანი პროგრამით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ახლად მოსული დებიუტანტები.

დღეს პირველი გასტროლია ლამაზ ინგლისელ ქალების დების **ვარშიკტონ**. დღეს მეორე გასტროლია იტალიელ მინიატურულ ჯამბაზების **რიგერებისა**, მათი საჭირვარამო რეპერტუარით **ვილჰელმ მე-2 ტახტზე**. დანიელ მსახიობთა **კორელების** უკანასკნელი გასტროლი, რომელთაც „**მფრინავი პეპლები**“ დაარქვეს; აგრეთვე გამოსათხოვარი გასტროლი ჩინეთის კარის გასაოცარ მსახიობთა 6 **ხუნოგუნო**. ამას გარდა მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საზოგადოების საყვარელ ხუმარები **ფლორენსი და ვიქტორი**, რომელნიც აწარმოებენ სათხუნჯო ინტერმეციის **ესპანიური ინკვიზიცია**. აგრეთვე მუსიკალური ექსცენტრიკებ ტრიო **პეტ-როვსკები**, საფრანგეთის შესანიშნავი აკრობატთა **კამოს** დასი. იაპონიის კარის დასი ბ-ნი იამადასანისა. პრიმა ბალერინები დები **არნოლდი**. ინგლისელი დერბი ჟოკეი ბ-ნ **საგინაკა** და სხვანი.

ანონსი: ახლო მომავალში ჩამოვა გამოჩენილი ხუმარა ბ-ნი ალექსი თავისი გასაოცრად გაწვრთნილ ცხოველებით.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 20 მარტიდან გაშარაის გმირის მაცისტის გასაოცარი თავგადასავალი. ორიგინალური სურათი 8 ნაწ.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 24 მარტიდან ცდუნების ქალღმერთი მხატვრ. დრ. 5 ნაწ. გამოჩენილ მსახიობთა ფრანჩესკო ბერტონის მონაწ.

ექიმები:

ვ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდროვს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი, იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში უსხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი სათეატრო მოწაფეებისა I და II ხარისხის. იყვანს პირობით. მისამართი: კახაკოვის და გენერლის ქუჩის შესახვევი სახლი გიორგი სტეფანოვის №15 მიიღება 9—12 ს. და 3—6 საათამდე. მასწავლებელი ა. ზ. თელიაა. 5 თ.

ა. დ. მამაგარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის ბულკულეზიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩახანიძის (წულუკიძისეული)

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუკეთებ ყვავილსაც **ახლად მიღებულ დიტარიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს რემგანვე ახლ გამოგონილ წამლის საშვალებით, ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სიობილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 სათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი
გ. კოსტავას სახლი № 17. 8 თ.

ქუთ. სადგ.-მამული ბანკის მიწის მზომელი და თბილ. სადგ.-მამულთ კომისიის მიწის მომწყობი

ვ. ს. ასათიანი

ადგენს მამულების სალიკვიდაციო და მიწის მოსაწყობ პლანებს. შუამავლობს ქართლ კახეთ-აფხაზეთში მიწების შემძენ-გამყიდველთა შორის. მიწის შემძენ გლეხთა ამხანაგობებს აძლევს შეღავათიან ტეხნიკურ დახმარებას. ცნობების მიღება შეიძლება ქუთაისში: ა) სადგილ-მამულო ბანკში, ბ) პროვიზორ კახიანის აფთიაქის მაღაზიაში, ქალ. თეატრის პირდაპირ, გ) ვ. ს. ასათიანის ბინაზე, ი. ჭიჭინაძის ქ. № 8. სახლი რუხაძისა, თბილისში სადგილ-მამულო კომისიაში, თფილ. თავ.-აზ. დეპუტატთა საკრებ. ბინა, ბელინსკის ქ., № 1. ჭიათურაში შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან. 9 თ.

მეურნეთა მიმართ.

თანამედროვე მომენტი მოითხოვს დაუყოვნებლივ ჩვენ გამოხმაურებასაც. უნდა გამოირკვეს, რაც შეიძლება მალე, ჩვენი აგრონომიულ ნიადაგზედ მომუშავეთა დამოკიდებულება, როგორც შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობის მიმართ, აგრეთვე ურთიერთ შორის. დღემდის აგრონომიული მუშაობა იყო გაფანტული, დანაწილებული სხვადასხვა ორგანიზაციების შორის; არ იყო სისტემა, გეგმა შეთანხმებული მუშაობისა, რადგან გარემოება და მდგომარეობა, მეტი რომ არ ითქვას, ხელს გვიშლიდა. დღეს გვეღირსა ვიმოქმედოთ ისე, როგორც ამას მოითხოვს მეურნეობაში ჩამორჩენილი ჩვენი ქვეყნის საჭიროებანი.

ყოველივე ამის მოსაგვარებლათ აგრონომ ინსტრუქტორთა, სპეციალისტ მასწავლებელთა და სხვა მეურნეთა მიერ არჩეულმა დროებით ბიურომ და ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გადასწყვიტა საჩქაროთ იქმნეს მოწვეული ქ. ქუთაისში, ქუთაისის გუბერნიაში მომუშავე აგრონომიული პერსონალი.

აგრონომები (როგორც საერობო, ისე სამიწადმოქმედო სამინისტროში მოსამსახურენი) ინსტრუქტორები, საცდელი და საჩვენებელი მინდვრების ხელმძღვანელნი და მოსამსახურენი, სამეურნეო სასწავლებლების მასწავლებელნი, სამინისტრო სასწავლებლებთან არსებული სამეურნეო განყოფილების ხელმძღვანელნი, სამეურნეო სამეურნეო სტაროსტები, საზოგადოების წარმომადგენელნი და ყველა სხვა რაიმე სამეურნეო დაწესებულებების წარმომადგენელნი და სხვა.

კრება დანიშნულია 27 მარტს დილის 11 საათზე ქ. ქუთაისში, შავი ქვის საბჭოს დარბაზში.

სამეურნეო საზოგადოების საბჭო.

დროებით ბიუროს წევრნი: 1) ქუთაისის მაზრის საერობო აგრონომი ვ. ფალავანდიშვილი, 2) ქუთაისის მევენახეობის და მეღვინეობის ინსტრუქტორი ლ. ქიქოძე, 3) ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის მასწავლებელი ა. იობიძე.

ელექტრო ამპირ თეატრი

ორშაბათიდან, 20 მარტიდან ლონცო და მისი ჭმადამოები. სანახაობა. ვნების ტალღებში. დრამა 5 ნაწ. ოქტავ მირბოს „სიყვარულის მოლოდინით“.

ანონსი: შესანიშნავი სურათი: **სახელგანთქმულობის მწვერვალზე**. დრამა 6 ნაწ. მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწ.

ქალაქის თეატრში

შაბათს 25 მარტს 1917 წელს გაიმართება დიდი საყურადღებო

საღამო

აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას საუკეთესო ძალები: ყოველ პარტიათა წარმომადგენელნი და ლიტერატორნი.

საღამოს გამგე. **ამბ. პირველი** 2—1

ერთმა ქართული მწერლობის მოტრფიალემ რედაქციას გადმოსცა

100 მანეთი პრემიით

საუკეთესო შრომისათვის (განურჩევლად დარგისა), რომელიც მოთავსებული იქნება გაზეთ „**სამშობლოში**“ 1 მარტიდან 1 ივნისამდი. ნაწარმოების შესაფასებლათ სარედაქციო კოლეგია მოიწვევს გაზეთის მკითხველთა წრიდან სამი პირისაგან შემდგარს განსაკუთრებულ კომისიას.

ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობას.

შაბათს 25 მარტს ქალაქის ბაღში იმართება დიდი მშვიდობიანი მიტინგი არ. ჯორჯაძის გარდაცვალების ოთხი წლისთავის აღსანიშნავად.

იმედია ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელთათვის ძვირფასია ჭეშმარიტებისათვის და სამართლიანობისათვის მებრძოლ რაინდის ხსოვნა, დარჩება ამ დღისთვის ქალაქად და მხურვალე მონაწილეობას მიიღებს მიტინგში. **ქუთაისის მოწაფე ფედერალისტთა კავშირი.**

კომისარების ჩამოსვლის შესახებ

როგორც მკითხველებს უკვე ეცოდინებათ, თბილისში ჩამოვიდნენ დროებით მთავრობის წარმომადგენელი კომისარები, რომელთაც დავალებული აქვთ მოაწესრიგონ კავკასიის საქმეები.

ჩვენი რედაქცია გულწრფელი სალმით მიეგებება მათ და ვუსურვებთ ნაყოფიერ მოღვაწეობათა ბრწყინვალეთ დაგვირგვინებას. არც ერთი განაპირა ქვეყანა რუსეთისთვის ისეთი უცნობი არ არის, როგორც კავკასია, განსაკუთრებით კი ჩვენი კავკასია. წინათაც აღუნიშნავს ქართულ პრესას და მოწინავე ელემენტებს და კვლავაც ერთსულოვნათ გაიძახის, რომ რუსის ხალხი ჩვენ არ გვიცნობს. უკვე განიავებულ ძველ რეჟიმს ოდნავი ნაბიჯიც არ გადაუდგამს ამ შეცდომის გამოსწორებისათვის. არა თუ გაგვცნობოდნენ არამედ მთელი რუსი ხალხის ფიქრსა, ნებასა და გონებას განუჭვრეტელი ბურუსით მოსავდა და ხელს უშლიდა ჩვენს შორის ურთიერთ გაგების განმტკიცებას. გვინიშნავდა მმართველებათ ისეთ პირებს, რომელთაც ხალხის კეთილ დღეობა კი არ აინტერესებდათ, არამედ მათ შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდება; ერთის ერს მეორეს ახლიდა და მით სისხლის მორევს იწვევდა. საქმე იქამდის მიიყვანა, რომ შეუძლებლათ გახადა კავკასიის ერებს საერთო ძალღონით საერთო საქმისათვის ემუშავნათ.

17 ღვინობისთვის მანიფესტი ნელ-ნელა იკვეცებოდა და 3 ივნობისთვის კანონმა საბოლოოთ გამოაცალა მას კონსტიტუციური ხასიათი. ყველაზედ უფრო ამ შემთხვევაში კავკასიის ერები დაიჩაგრდა განსაკუთრებით კი ქართველები. ჩვენმა წარსულმა არჩევნებმა სათათბიროებში ისეთი ანომალიური და მახინჯი ფიზიონომია მიიღო, რომ ვერც ერთი ქართველი ერის წარმომადგენელი მოხვდა სათათბიროს წევრად. რაღაც უცნაური მახინაციებით საქართველოდან ს.-დ. წარმომადგენელნი მიდიოდნენ სათათბიროებში. და განა ყველას არ გახსოვთ მათი სიტყვები სათათბიროში რომ წარმოითქვა? არც ერთ მათგანს დაუძრავს კრინტი იმისე, რომ ქართველი ერი უდიდეს გაჭირვებას განიცდიდა. რასაკვირველია, კიდეც რომ ემხილა მით სიტყვებს ჩვენ, როგორც პოლიტიკურის, ისე ეკონომიურად აუტანელი მდგომარეობა, ამით არაფერს მოგვანიჭებდა ნიკოლოზ რომანოვის ყურ-მოჭრილი მონები, მაგრამ რუსეთის ფართო საზოგადოებას ეცოდინებოდა, რომ არსებობს კულტურულად ძლიერი და ტერიტორიულად მთლიანი ერი—ქართველობა, რაც დღევანდელ მომენტისათვის დიდს სამსახურს გაგვიწევდა. ახლა ამაზედ ლაპარაკი გვიანია, ხოლო საჭიროა ყოველივე ეს გათვალისწინებულ იქმნეს როგორც თვით კომისარების მიერ აგრეთვე თვით ქართველთაგანაც.

ნუღარ განმეორდება ძველი შეცდომები. ნიკოლოზ მეორე დავამხეთ და სოციალ დემოკრატების სახით ნიკოლოზ მესამის მოვლენა, დამხობა იქნება ჩვენი წარსულისაც, აწმყოსიც და უკვე ნათელ (სხივებით გაჩირაღდნებული მომავლისაც. ჩვენ მივაქცევთ პატივცემულ კომისარების ყურადღებას იმ მდგომარეობაზედ და მომავლინებელ მოქმედებაზედ, რომელსაც ეწევა რამოდენიმე ფანატიკოსი დოგმატიკოსი პარტიის სახელით. ჯარისკაცებში ავრცელებენ პრავოკაციულ ხმებს, თითქოს, სოც.-ფედერალისტები და ეროვნულ დემოკრატები ბატონყმობას აღდგენას ლამობდნენ და სხვა. რა არის ეს? ვინ ამოძრავებს ამ ბნელ ძალებს? რა ზომები მიიღო ქუთაისის კომისარებმა, ან სოც. დემოკრატების ლიდერებმა ასეთი ხულიგანების წინააღმდეგ. განაცხადონ მათ, რომ ტყუილია ყოველივე ეს; თვარა, უკიდურეს შემთხვევაში ისინი პასუხის მგებელნი იქნებიან ქართველი ერისა წინააღმდეგ და ახალი მთავრობის წინაშეც, თუ მოტყუებულმა და დაბნელებულმა პირებმა უდანაშაულო სისხლი დაჰღვარეს. საკმარისია ჯარის კაცმა გაიგოს, რომ ესა თუ ის ორატორი არის ან ფედერალისტი, ან ეროვნულ-დემოკრატი, საკმარისია მისთვის ორატორმა ავტონომიას დაუჭიროს მხარი, რომ ჯარის კაცმა არ დაინდოს ის და რამდენიმე პირების დახმარებით ყელშიაც ეცეს მას და აუკრძალოს ლაპარაკი.

რა არის ეს ბატონებო, თუ არ ჰეგემონია ბნელი ძალებისა და ბატონობა-ერთი თუ მეორე პარტიისა? საჭიროა ამათ ალვირახსნილობის ალაგმვა. საჭიროა ჯარის კაცთათვის განმარტება იმისა, რომ თვით ახალმა რევოლუციონურმა მთავრობამ გამოუცხადა თავის ლოზუნგით ის, რომ რუსეთი მაშინ იქნება ძლიერი; თუ ყოველივე მასში შემავალი ერი მიიღებს ავტონომიურ მართვა-გამგეობას.

არის კიდევ ერთი ყურადსაღები გარემოება. ეს გახლავთ სურსათ-სანოვაგის საკითხი ჩვენში. ამას განსაკუთრებული მზრუნველობა, რათა შიმშილობამ კვლავაც არ ამოხდინოს სული ჩვენ ისედაც წელში გატეხილ ერს.

აი ის მთავარი საკითხები, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მიექცეს ყურადღება პატივცემულ კომისარების მიერ.

სალამი თქვენდა და გამარჯვება კეთილ საქმეში.

ინ—ხანი.

ქართული პრესა.

გაზეთი „ერთობა“ აღნიშნავს იმას რომ რუსეთის წვრილ ერებს ავტონომიური უფლებები მხოლოდ რუსეთის დემოკრატიას შეუძლიან მიანიჭოს.

დიდმა რევოლიუციამ დაამხო ტახტი, დასცა რომანოვების დინასტია და რუსეთს თავისუფლება მიანიჭა. განთავისუფლებულ ქვეყანაში დამორჩილებულ ერთა ჩაგვრას ბოლო უნდა მოეღოს. ფინლიანდიის ავტონომია უკვე აღადგინეს და პოლონეთის საკითხს გადაჭრას შეუდგენ. დროებითმა მთავრობამ მოწოდება გამოსცა, რომელშიც პოლონეთის ერს დამოუკიდებლობასა და სრულ გაერთიანებას პირდება. ყველა ის კუთხე, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას პოლონელები შეადგენენ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს ფარგლებში შედის, შემდეგ პოლონეთის მთავარ ქალაქში მოწვეულ იქნება დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით, რომელიც გამოიმუშავებს სახელმწიფო მართვა გამგეობის ფორმას და განამტკიცებს თავისუფლებას. რუსეთთან დამოუკიდებელ პოლონეთს მხოლოდ ნება ყოფლობითი სამხედრო კავშირი ექნება.

რომ განათლებულმა რუსეთმა ფინლიანდიის ავტონომია უკვე დაუბრუნა, პოლონეთს ასეთივე ბედნიერება ეწევა ახლო მომავალში. დეპეშებმა გვამცნეს რომ ახალი მთავრობის დასტურით ლიტველებმა და უკრაინელებმაც მოიწვიეს ეროვნული კრებები.

ამას მთელი დემოკრატიული რუსეთი სიხარულით შეეგება ამავდროს კი ქართველმა დასელებმა რეაქციონერებად გამოაცხადეს ყველა ისინი რომელთაც მარტო აღნიშნეს საქართველოს ავტონომიის საჭიროება. რით აიხსნება მათი ასეთი. საქციელი? მკითხველო განსაჯე!..

რუსული პრესა.

საქართველოს ეკლესიის გულწრფელმა დამცველმა დურნოვომ კვლავ გაიხსენა ჩვენს ეკლესიის მიმართ წარმოებული აგრესიული პოლიტიკა რუს მღვდელ მთავრებისა და გაზ. „პეტროგრადსკია ვედომოსტ“-ში მოათავსა წერილი „კრიპლატონ“-ის სათაურით. როგორც მკითხველებს ახსოვთ დურნოვო ყოველთვის უარყოფითად ეპყრობოდა ჩვენი ეკლესიის მმართველ რუს ეგზარხოსთა მოქმედებას. იგი ახლაც ეხება ეგზარხოს პლატონის მოღვაწეობას ჩვენში და მის მოქმედებაშიც ძველი გზით სიარულს ამჩნევს. დურნოვოს სიტყვით არქიეპისკოპოსი პლატონიც

„აღიარებს, რომ ის საქართველოში გამოგზავნილია არა საეკლესიო საქმის, არამედ რუსულ პოლიტიკურ საქმის საწარმოებლად“.

ეგზარხოს პლატონის პოლიტიკის ნაცად მხარეების გასაშუქებლად დურნოვო იხსენიებს იმ ფაქტს, რომ როცა სამშობლოს მოწყვეტილი ქართველობა 14 იანვარს პეტროგრადში მშობლიურ ენაზე ისმენდა წირვას, შუაგულ საქართველოს დედა ქალაქში თვით პლატონი სწირავდა სლავურად, ხოლო ბოდბეში მის მიერ გაგზავნილ იქნა რუსი ეპისკოპოსი დიმიანე. იხსენიებს პატივცემული ავტორი აგრეთვე ეგზ. პლატონის გულცივად მოპყრობას ქართველ სამღვდელოების მიერ ავტოკეფალიის მოთხოვნაზე. იგი ეგზარხოს საეკლესიო კანონთა უცოდინარობას უსაყვედურებს.

დურნოვოს აზრით ეგზარხოსმა უნდა იცოდეს:

„რომ ივერია-იმერეთის ეკლესია ახლაც ავტოკეფალურია და ქართველები ეგზარხოს სთხოვენ, როგორც რუსის ეკლესიის წარმომადგენელს, არა ავტოკეფალიის მინიჭებას ივერიის ეკლესიისათვის, არამედ დაცვას მის მიმართ წმიდა კანონთა და ეკლესიის ბრძანებათა, რომლებიც უკრძალავენ ერთ ეკლესიას მეორე ეკლესიის საქმეებში გარევას“.

ეკლესიის საქმეთა გადაწყვეტა არ შეუძლია არა თუ კერძო პირთ, არამედ— ამბობს დურნოვო:

„რუსეთში რომ შემდგარიყო კრება ყველა რუს იერარქთა, მათაც არ შეეძლოთ ივერიის ეკლესიისათვის არა თუ ავტოკეფალიის მოსპობა, არამედ საეკლესიო საქმეების უბრალო განხილვაც კი“. მით უმეტეს სახელმწიფო უფლებას არა აქვს ამის ნებაო.

აძაგებს რა საქართველოში წარმოებულ ეკლესიის წინააღმდეგ „მოღვაწეობას“, დურნოვო უთითებს „წმიდა მამათ“. მა თუკანონო მოქმედებაზე. აღშფოთებულია ცნობილი ჩვენი დამცველი იმ უპატივცემულობით, რომელსაც რუსის მთავრობა და სამღვდელობა იჩენდა ქართველი ერთგული თავად-აზნაურობისა და მხედრობის თავდადების სანაცვლოდ.

ქართველ კაცს სრულიად გული უნდა გატყდომოდა და იმედი დაკარგოდა, რომ ასეთი ნათელი ადამიანები არ გაგვიხსენებდენ ხანდახან. მაგრამ რა ქნას ასეთმა დამცველმაც კი, თუ მთელი ძალა მოპირდაპირეთა ხელშია და ხშირად მისი ძახილი მხოლოდ მისი გასაგონი-ღა ხდება?

ახალი მთავრობა.

ბრძანება სამხედრო უწყებასა და მთავარ შტაბს

პეტროგრადი 14 მარტი 1917 წელსა № 134 აანონდებლობანი, რომელნიც მოქმედებენ კაზაკთა მოქალაქობრივი მმართველობის მიმართ, შეიცავენ ათას გვარ შეზღუდვას ამ ხალხის მოქალაქობრივ უფლებებისას. ამასთანავე ეს შეზღუდვის უფლებები არ გამართლდებიან არ მარტო ცხოვრების აწ დამყარებულ პირობებით არამედ სრულიად წინააღმდეგებთან კაზაკობის ისტორიულ წარსულს. ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილებით განზრახულია რაც შეიძლება მალე გაუქმდეს ის შევიწროვებანი, რომელნიც მათი სამსახურისათვის საჭირო არის. მოხდეს რეორგანიზაცია ადგილობრივი თვით მართველობისა ფართო თვით მმართველობის საფუძველზე როგორიც, შეეფერება ისტორიულ წარსულს. მაგრამ, რადგანაც შემუშავება შესაფერ კანონდებულებებისა მოითხოვს დიდ დროს, ამიტომ აუცილებელი საჭიროა გადაუდებლათ დამყარდეს ყველა კაზაკთა ჯარებში სტანიცებიდან არჩეულ პირთა ყრილობები როგორიც არსებობენ ურალის კაზაკთა ჯარში, 3). საერთო სიძვირის გამო გადაწყვეტილია გაუდიდონ ჯამაგირი როგორც ომის იყო მშვიდობიანობის დროს.

დამღუპველი მოვლენა.

26 თებერვლიდან შექმნილი მომენტი რუსეთის ყველა უფლება წართმეულ ერთათვის ძვირფასია. ჭეშმარიტად ამ ხელსაყრელ დროთი უკვე ფართეთ სარგებლობენ რუსეთის ის ერები, რომელთაც წინდახედულობა შესწევთ და თავიანთძვირფას სამშობლოს ბედიდბალს ოცნებურ უტოპიებს არ ანაცვალებენ. სრულიად რუსეთის ხალხის თავისუფლებით უკვე სუნთქავს ფინლიანდია, ამასვე მოელის უკრაინა. პოლონეთს დამოუკიდებლობა აღუთქვა ახალმა მთავრობამ. ერთი სიტყვით ის ერი, რომელსაც დედა მიწის პირიდან აღგვა არა სურს. თავის თავს პატივს სცემს, საკუთარ „მე“-ს სცნობს; იგი დამდგარ განსაკუთრებულ მდგომარეობით არსებითად დაამხვრევს საუკუნოებით გამოჭედილ ეროვნულ მონობას, თავს გაინთავისუფლებს და განახლება, აღორძინების გზას დაადგება... ეს ასეც ხდება ყველგან, მაგრამ ჩვენში რასა ვხედავთ? ორი მუჭა ქართველობას თითქოს დღემდის ვერაფერი უსწავლია. იმისი საუკეთესო შვილები, რომელთაც დაჩაგრულ სამშობლოსთვის დიდი დახმარების გაწევა შეეძლოთ დღესაც ამ ყოფნა არ ყოფნის დროში განზე დადიან, თავის ქვეყანას, წამებულ დედას, მის თავისუფლებას არა სცნობენ, მხოლოდ ამავე დროს იბრძვიან და სიხარულის ტაშს უკრავენ უცხო ერთა ბორკილების აყრას.

ეს კიდევ არაფერი, ისინი ხელს უშლიან და ყოველგვარად ებრძვიან იმათ ვინც გაბედავს და თავის ერისთვისაც მოითხოვს მონობიდან დახსნას და გათელილ უფლებათა აღდგენას.

ქართულ შინაომყოფელობის და რეალურ ინტერესების დამცველთა წინააღმდეგ ამ ქამად ძალაუფლების ხელში მქონე სოციალდემ.აკრატთა პარტიამ ყველა ოღნავ კულტურულ ადამიანისთვის აღსაშფოთებელ საშუალებათ მიმართა. საერთოდ გამოცხადებულ სიტყვის თავისუფლებას ესენი ზღუდავენ. მათი ბრძოლა გადავიდა საპირადოზე. [illegible] ტანსაცემლით აფასებენ. ვისაც ნოქრის ან სხვა პროლეტარის იარლიკი არ აქვს ხმასაც არ აღებინებენ...

საქართველოს თავისუფლების მოპოებისთვის მებრძოლთა შესახებ უცხოთა შორის ათასგვარ [illegible] ლევებელ ხმას ავრცელებენ, რომელმაც უკვე ნაყოფი გამოიღო და ლამის არის ბნელი ბრბოები ქართველ ხალხს სისხლის საღვრელად მიუსიონ. თუ სადმე კრებაა იქ თქვენს აზრს ვერ აუწყებთ ხალხს, რადგან ეს დევს არ სურს, თუ გაკადნიერდით და კრინტი დასძარით, მაშინ ფიზიკურ ძალით გიმასპინძლდებიან. სად არის ის ნანატრი თავისუ[illegible] დამხობილი თვითმპყრობელობა [illegible] არ იქცეოდა? ახალი მთავრობა [illegible] გვრთავს და ადგილობრივი პარტიები კი უფლებას გვართმევენ!.. მილიციებში, სხვა და სხვა კომიტეტებში ყვე[illegible] თავის ჰეგემონიას ესწრაფვიან...

თითქოს ქართველ ერს რომელიმე პარტიის გამარჯვების მეტი არაფერი ეჭირვებოდეს. და სა[illegible] ჰყავთ იმდენი პროლეტარი, რომ ზნე[illegible]ვი უფლება ჰქონდესთ უმრავლესობაზე გაბატონებისა. ორი სამი ქარხნის მუშა და ნოქარი კიდევ შეიძლება მიემხროს სოციალ-დემოკრატიების პროგრამას, მაგრამ დანარჩენ საქართველოს რას უშვრებიან? მაგრამ ეს საქართველო კარგა ხანია მათ მარქსის უტოპიებს ანაცვალეს; მათთვის იგი აღარ არსებობს და ამიტომ მე მივმართავ თვით ქართველ ერს, იმ ქართველ ერს, სადაც შედიან პროლეტარებიც, გლეხებიც, სამღვდელოებაც, თავად აზნაურებიც, სამხედრო პირებიც და ვეტყვი:

ერო! ერთ დროს სულით ძლიერო, თავისუფლებისთვის თამამად თავის შემწირავო, დღეს რას შვრები? ვინ დაგწყევლა? თუ უკრაინა, ფინლიანდია და პოლონეთი იღწვის თავისუფლებისთვის, შენ რას სჩადიხარ? თუ დაკარგე სულის სიმტკიცე? მოგწამლეს? არ მჯერა! შენ გამოხვალ შენი თავმოყვარეობის დასაცავად...

შენ უნდა იცნო ვინ არის შენი მტერი და ნამდვილი მოყვარე ნუ აყოლიხარ მაცდურებას. შენ ძალით უარგაყოფინეს შენი ქვეყნის ინტერესი მისი დაცვა, იმ ქვეყნის, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ველურ მტერთა მიერ გარშემორტყმულს სულს გიმაღლებდა და ხორცს გისაზრდოვებდა.

ქართველო სამღვდელოებავ! წარუძღვე შენს ერს გონს მოიყვანე იგი. ისე როგორც 1610 წელს ბოდბის ბერები მოქმედებდენ. ქართველო თავად-აზნაურობავ, და დანარჩენო მშრომელ ხალხო გაბედულად წინ წამოსდექი და შენი ეროვნული სურვილი ამხილე. ვისი გეშინიან, განა უფლება არ გაქვს? შეუძლებელია მეტი დაყოვნება, რო-დესაც ყველა ბედნიერია ჩვენ მშრალზე ნუ დავრჩებით! თავი დაანებეთ უაზრო თეორიებს, შეუდექით ნამდვილ საქმეს. ნუ გაუშვებთ ხელიდან ძვირფას დროს თორემ მომავალი შეგვაჩვენებსთ. ნუ ვათქმევინებთ უცხოს, რომ ჩვენ სიცოცხლის ღირსნი არა ვარ...

ქართველებო, გაბედულად მოსთხოვეთ ახალ მთავრობას, რომელიც თვითონ მომხრეა ჩვენი სურვილების შინაური თავისუფლება! თქვენ ამის უფლება გაქვთ!.

ი. იმერელი

ავტოკეფალია.

განვლო ერთ საუკუნეზე მეტმა, რაც ქართველთა ცაზე შავი ღრუბლები ჩამოწვა, ღრუბელი შხამიანი და ნაღვლით გაჟღენთილი, რომელმაც შექმნა სულთამხუთავი ატმოსფერა; მოშხამა ჰაერი და ქართველთა სპეტაკი მისწრაფებანი, მის მკვირცხლი ალმაფრენა დაღმა დასცა.

გადიწ[illegible]. დამპალი ატმოსფერა გაქრა, [illegible] ჰაერმა ძალა დაკარგა და დღეს ია და ვარდის სუნით შეზავებული ჰაერი ატკბობს ყოველთა ყნოსვას.

რუსეთის ძველმა დამყარებულმა ბიუროკრატმა მეფური სიტყვით და კანონით ასი წლის წინეთ დადებული ტრაქტატი დაარღვია! დაწერილი პირობა მოშალა, ეროვნული დამოუკიდებლობა მოსპო.

ქართველთა კათალიკოსი ტახტიდან გადმოაგ[illegible] მიტროპოლიტები: ქუთათელი და [illegible]ათელი შეურაცხყოფილნი რუსეთში წაიყვანეს დასასჯელათ (ერთი იმათგანი გზაში მოკვდა) და მით ქართველებს სარწმუნოება შეულახეს. უხსოვარი დროიდან, მსოფლიო კრების დადგენილებით უფლება მოსილი ჩვენი დამოუკიდებელი ეკლესია რუსეთის უუფლებო ეკლესიას დაუქვემდებარეს. ამით დასცა რუსეთის ძველმა მთავრობამ ჩვენი ქრისტიანობა; ამით წაართვა, მიითვისა და დაუკარგა ჩვენს ეკლესიას ას ორმოცი მილიონი მანეთის მამულები.

დღეს, დრო შეიცვალა.

მცხეთის საკათალიკოსო ქართველთა უძველეს დედა ეკლესიაში მოუყარა თავი ქართველთა ოთხმა მღვდელთ მთავარმა, მთელი სამღვდელოების წარმომადგენლებმა და რიცხვით აუარებელი ქართველთა თანდასწრებით შეასრულეს წირვა ქართულად. გარდაიხადეს რუსეთის ნდობით აღჭურვილ ახალი მთავრობის საკეთილდღეოთ პარაკლისი და „სრულის თანხმობით დაიწერა სიგელი, რომლის ძალითაც გაგრძელებულა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო კათალიკოსის არჩევამდე, რაც უნდა მოხდეს სრული კანონიერ ნიადაგზე დაინიშნა აღმასრულებელი კომიტეტი სამღვდელო და საერო პირთაგან შემდგარი ეპისკოპოსი ლეონიდეს თავმჯდომარეობით“—რომელიც თფილისის ქართველთა დედა ქალაქში ყოველგვარ საეკლესიო საქმეებს განაგებს. ამით აღსდგა ძველი რუსეთისასაგან ძალმომრეობით წართმეული ჩვენი ეკლესიის უფლებანი.

ქართველნო! დავასწროთ აღდგომის დღესასწაულს და დღესვე ვსთქვათ: აღსდგა ქრისტე და აღსდგა მთელი რუსეთი. აღსდგა ქრისტე და დაირღვა ყოველგვარი ძალმომრეობა. აღსდგა ქრისტე და განთავისუფლდა ყოველი ერი მონობისაგან და ცხოვრება მოქალაქობს.

გაუმარჯოს ახალმთავრობას; გაუმარჯოს განმათავისუფლებელ ხანას და თავისუფალ რუსეთში უსამართლო ტანჯულ ქართველთა ერის დემოკრატიულ ავტონომიას.

მღ. რ. ხ—ძე.

ახალი ამბავი.

მოქალაქენო დღეს როდესაც ტელეგრაფი ერთობ დატვირთულია და სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ხასიათის დეპეშით, საჭიროა რაც შეიძლება შევამციროთ კერძო ხასიათისა და ნაკლებად მნიშვნელოვან გასაგზავნ დეპეშების რიცხვი, რათა უფრო მნიშვნელოვანი დეპეშები შეუფერხებლივ იქნეს გადაცემული დანიშნულებისამებრ.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის** მოსამსახურეთა აღმასრულებელი კომიტეტი ქუთათურთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ტელეგრაფის მეტის მეტი დატვირთის გამო ხშირად დეპეშები ფოსტით იგზავნება.

✦ **ქუთაისის** აღმასრულებელ კომიტეტმა საჭიროდ სცნო, რომ დღემდის მომხდარი სხვა და სხვა კომიტეტების არჩევნები გაუქმებულ იქმნას და მოხდეს ხელ ახალი საყოველთაო არჩევანი სადაც შევლენ ყველა მიმართულების თანასწორი შემადგენლობა.

✦ **ქუთაისის** სახაზინო პალატის გამგეობა მოუწოდებს ქუთაისის მცხოვრებთ, რომ 22 მარტს საღამოს რვა საათზე დაესწრონ იმ წინასწარ თათბირს, თათბირს, რომელიც მოხდება გადასახადის შემოსავლის კვალობაზე გალების შესახებ. ვისაც 916 წ. წლიურად 860 მან. შემოსავალი ჰქონია და ახალ საგადასახადო კანონში რაიმე უხერხულება—გაუგებრობას გრძნობს ხსენებულ თათბირზე სრულ განმარტებას მიიღებს.

✦ **შაბათს**, 25 მარტს ქალაქის თეატრში ახალგაზდა ბელეტრისტი ამბროსი პირველი გამართავს დიდ სალიტერატურო საღამოს, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

✦ **თბილისი.** კატა აბაშიძეს. კავკასიის კომისარიატის წევრთ კატა აბაშიძეს. ძვირფასო კატა! კავკასიის კომისარიატში თქვენი დაბრუნების გამო, ქუთაისის თანამოაზრე სტუდენტთა 20 მარტის საერთო კრება გულმხურვალედ გესალმებათ თქვენ, როგორც ქართველი მშრომელი ხალხის ეროვნულ მისწრაფების შეუდრეკელ მებრძოლს და საუკეთესო გამომხატველს.

თავმჯდომარე ფანჩულიძე.

✦ **გუშინ გამოურკვეველ მიზეზთა გამო პ. დ. ს. დეპეშებმა დაიგვიანეს.**

✦ **ახალი კოოპერატივი** ს. ლიაში (ზუგდიდის მაზრს) გაიხსნა მომხმარებელი საზოგადოება.

✦ **ხარაგოულის** [illegible] დოქაულად პორუჩიკ[illegible] ძის დანიშვნის შესახებ ხარაგოულის კომიტეტის დადგენილებისა, ქუთ. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მიიღოს თანამდებობის აღმასრულებლათ პორუჩიკი 202 ქვეითი გორის პოლკისა მიხეილ გიორგის ძე დეკანოსი ძე რაიკ უნდა ეცნობოს ქუთ. სამხედრო მთავრობას.

✦ **ქალთა კრება.** ოთხშაბათს, 20 მარტს ქუთაისის ქალაქის თეატრის დარბაზში ქ-ნ კატო აბაშიძის თავმჯდომარეობით გაიმართა ქუთ. ქართველ ქალთა კრება. სიტყვა წარმოსთქვა ქ-ნ კატო მიქელაძის ასულმა, რომელმაც სხვა შორის ურჩია ქართველ ქალებს დაარსონ თავიანთი ორგანო, სადაც თვითეულ ქართველ ქალს შეძლება ექნება გამოსთქვას თავისი ჰირვარამი. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე სხვებმა მათ შორის ბ-ნმა ჯაჯუ ჯორჯიკიამაც, კრება ღამის ორ საათამდე გაგრძელდა, მაგრამ მთავარი საკითხი მაინც ვერ იქნა გადაწყვეტილი.

✦ **ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედება** ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: მისცეს წინადადება ქუთ. რკინის გზის სადგურის უცროსს, რათა მან დაუყონებლივ გასცეს განკარგულება; დაკრძალოს ქუთაისიდან გამომცხვარ პურის, ფქვილისა და შაქრის გატანა და ბ) დაარსებულ იქმნას ქუთ. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი.

✦ **ქუთ.** აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დეპეშა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან შემდეგი შინაარსისა: გთხოვთ რომ ასცდეთ დეზორგანიზაციას სასწავლო საქმეში, შეაჩეროთ იმ პედაგოგთა თანამდებობა და თხოვნა, რომელთაც მიუძღვით რაიმე დანაშაული, სანამ თვით მინისტრი არ განიხილავს მათ საქმეს

✦ **ქუთ.** აღმ. კომიტეტმა მიიღო დეპეშა წალენჯიხის საზ. აღმ. კომიტეტის დაარსების შესახებ.

✦ აღ. კომიტეტმა დაადგინა განთავისუფლებულ იქმნას მაქებარ პოლიციის განყოფილების მიერ დაჭირავებული შენობა, რომლის ზედა სართულში გადატანილ უნდა იქმნას ქალაქის მილიციის სამმართველო.

მოწოდება თავადაზნაურობას

გაერთიანებულ თავადაზნაურთა მუდმივი საბჭო შეიკრიბა შექმნილ განსაკუთრებულ სახელმწიფო გარემოზე სათათბიროთ

იმ დროს, როდესაც რუსეთი უმაგალითო ომს აწარმოებს. გარეშე მტერთან ამავე დროს მის შიგნით მოხდა უდიდესი ცვლილება რომელიც ძირითადათ სცვლის არსებულ სახელმწიფო წესწყობილებას ასეთ პირობების შექმნის გარედან მოსალოდნელი საფრთხე მეტად საშიში ხდება. მრისხანე მტერი ფხიზლად არის, თვალ ყურს ადევნებს ჩვენ შინაურობაში მომხდარ ამბებს და მარჯვე დროს ეძებს, რომ სასიკვდილო მახვილი ჩაგვცეს.

სამშობლოსთვის ასეთ კრიტიკულ და საპასუხისმგებლო მომენტში რუსეთის ხალხმა დროებით მაინც უნდა დაივიწყოს პარტიული ბრძოლა, და შემოკრიბეს ახალ მთავრობის გარშემო ინტენსიურ სამოქმედოს, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ქვეყნის განახლება და აღორძინება და ომის გამარჯვებით დაბოლოება. ასეთ გრძნობით გამსჭვალული თავად აზნაურთა მუდმივი საბჭო მოუწოდებს სრულიად რუსეთის თავად-აზნაურობას, რომ მან ზურგი გაუმაგროს ახალ მთავრობას. ყოველმა თქვენგანმა თავის მომოქმედებაში უნდა ეცადოს ახალ წესწყობილების განსამტკიცებლად. დაე სრულიად რუსეთის თავად აზნაურობა მიეშველოს საყვარელ რუსეთს, მძიმე მოვალეობის შესრულებაში, რომელიც მას ბედმა არგუნა.

P S ეს მოწოდება მიიღო სრულიად რუსეთის გაერთიანებულ თავად აზნაურთა საბჭოს თავმჯდომარე თ-დ სამარინისგან ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი **დ. ნიჟარაძე.**

ხელოვანთა კრება.

კვირას 19 მარტს, მიხ. საზნაურო სადგილმამულო ბანკის დარბაზში შესდგა ხელოვანთა კრება, რომელსაც დაესწრენ ხელოვანი მწერლები, მხატვრები, მსახიობები და მუსიკოსები. კრების მოწვევამ მგოსანმა გალაკტიონ ტაბიძემ კრების მიზანი განმარტა და წინადადება მისცა აერჩიათ თავმჯდომარედ. არჩეულ იქმნა

ჯაკა ფაღავა. შემდეგ გალაქტიონ ტაბიძემ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა აუცილებლობას წარმოადგენს დღეს „ხელოვანთა საზოგადოების“ დაარსება, რომელზედაც ოცნებობდა ყველა მწერალი აკაკი წერეთლიდან დაწყებული. კომპოზიტორმა კ. ფოცხვერაშვილმა სთქვა, მოკლე ხანში აუცილებლად საჭიროა ქალაქის თეატრში გაიმართოს ჩვენი ხელოვნების დიდი და დროის შესაფერი დემონსტრაციის. ჯ. ჯორჯიკია შეეხო საერთოდ ხელოვნებას და კერძოდ კ. ფოცხვერაშვილის აზრს. მხატვარმა გრ. მესხმა, ახსნა კრების დიდი მნიშვნელობა და სურვილი გამოსთქვა „ხელოვანთა საზოგადოების“ დაარსებისა.

ალ. წერეთელმა აღნიშნა დღევანდელ მომენტში ხელოვანის დანიშნულება და მოვალეობა.

აკ ფაღავამ დაახლოვებით იგივე სთქვა.

კ. ნიკოლაძემ სურვილი გამოსთქვა, თანაბარი გზით მიდიოდეს დღევანდელი ჩვენი ცხოვრება და და ხელოვნება. ილაპარაკეს შემდეგ სხვებმაც. აღსანიშნავია ალ. წერეთლის სიტყვები: „იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხელოვნები თვისი ძვირფასი ზედგავლენით მოსპობს იმ პარტიულ უთანხმოებას, რომელიც დღეს არსებობს“.

მ. ლობჟანიძე ამბობს რომ კრება ულრმესი ნდობის ღირსია, ვინაიდან კრებას დაესწრნენ მრავალი დამსახურებული და ახალგაზრდა ხელოვანნი და მათ შორის ჩვენი სცენის დამამშვენებელი ნინო ჩხეიძე. მგოსანი გ. ტაბიძე და სხვა. საერთოდ კრება ძლიერ ცოცხლად და აღფრთოვანებულად ჩატარდა. აირჩიეს ბიურო, რომელსაც მიენდო ყოველგვარ საქმეების გაძღოლა და რომელშიაც შედიან წარმომადგენლები ხელოვნების ყველა დარგიდან: 1) ნინო ჩხეიძე (მსახიობი). 2) გალაქტიონ ტაბიძე, (მგოსანი). 3) კ. ფოცხვერაშვილი (კომპოზიტორი). 4) გრ. მესხი (მხატვარი). 5 აკ. ფაღავა (ხელოვნების მოყვარული.)

კრებამ მადლობა გადაუხადა კრების მომწყობთ თავმჯდომარეს ამასთანავე დაადგინა მისალოცი დეპეშა გაეგზავნოს დროებით მთავრობას.

შემდეგი კრება ახლო მომავლისათვის არის განზრახული. X.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კრებაზე წარმოთქმული სიტყვები.

(15 მარტი ქალაქის თეატრი).

ალ. ალ. გარსევანიშვილი.

თავისუფალნო მოქალაქენო!. მრავალჯერ, აი ამ აუდიტორიაში, წამიკითხავს თქვენ წინაშე ლექციები მე 18 საუკუნის საქართველოს ისტორიიდან და აღმინიშნავს ბევრი უკანონობა და ბოროტება რუსეთის მთავრობისა. მე გულის სიღრმეში მუდამ მწამდა, რომ ის მიდამო, რომელიც სავსეა მყრალი ბალახებით, მოკლე მომავალში ღვთიურ წალკოტათ იქცევა. მუდამ იმას ვიმტკიცებდით, რომ სუფევს ამ ქვეყნად **უზენაესი სამართლიანობა**, რომელიც თავის დროზე ხმა-მაღლა იტყვის სრულ ჭეშმარიტებას, აგვიხილავს თვალებს და სწორ გზაზედ დაგვაყენებს; ამ უზენაესი სამართლიანობის ძლიერი სხივი გაფანტავს შავ ღრუბლებს და სამუდამოთ გასწმინდავს ნისლ-ბურუსით მოცულ ჰორიზონტს. მაშინ ეს იყო **ჩემი ოცნება** და დღეს, საბედნიეროდ ჩვენდა, იგი გადიქცა სინამდვილეთ.

აწ დადგა ნეტარი წამი. სამუდამოთ დაემხო ძველი წეს-წყობილება; აღარ არის ის კერპი, რომელიც ასე აშინებდა ხალხს. რუსეთი განახლდა; ძველ ნანგრევებზე უკვე აღმოცენდა თავისუფალი ქვეყანა 160 მილიონი მცხოვრებით რუსეთთან ერთად განახლდა ჩვენი პაწია საქართველოც იგი სამუდამოთ განთავისუფლდა ბნელი ძალებისაგან.

ჩვენ, თავისუფალ მოქალაქეთ, გვაქვს სრული უფლება ვთქვათ სიმართლე და აღვნიშნოთ სიყალბე, და ძალმომრეობა ან განსვენებული დესპოტიურ მთავრობისა.

116 წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენ ქართველები რუსეთის მთავრობის ხელში ვართ; საქართველომ სრულიად უკანონოდ გამოსცადა ამ ხნის განმავლობაში მონობა. მერე ვის წყალობით მოხდა ეს საშინელი ტრაღედია?. ვინ არის დამნაშავე?. აი ჩემი პასუხი, დამყარებული ისტორიულ საბუთებზე: ჩვენ თავისუფლება წაგვართვა იმპერატორ პავლე პირველმა და მთელმა მისმა სამეფო კამარილიამ; და მოხდა ყველა ეს არა ქართველთა სურვილით, არამედ ძველი რუსეთის მთავრობის ძალმომრეობით. ეს გარემოება პავლეს სიკვდილის შემდეგ ხმა მაღლა აღნიშნა სახელმწიფო საბჭოში ვიცე-კანცლერმა გრაფ ს. რ. ვორონცოვმა, მან ბრძანა, საქართველოს რუსეთთან შეერთებას აქვს ძალ-მომრეობის ხასიათი და პავლეს მიერ ჩადენილი საქციელი უსამართლობაო. ეს კეთილ-შობილური აზრა დარჩა ხმად მღაღადობლისა უდაბნოსა შინა, ვინაიდგან ძველი რეჟიმის მომხრენი ყველა დესპოტები იყვნენ და შტიკების მეტი არა სწამდათ რა.. აკი ამავე შტიკებმა გაუთხარეს მათ ცივი სამარე... რაც დათესეს ის მოიმკეს..

მოქალაქენო! იქონიეთ პატარა მოთმინება და მოისმინეთ საქმის ვითარება.. მე გადმოგცემთ მოკლედ ჩვენი თავისუფალ სამშობლოს უკანასკნელი დღეების ისტორიას.

გიორგი მე 12, რო ტახტზე ავიდა, მაშინვე ეს შეატყობინა პავლე 1. ამან მიულოცა ტახტზე ასვლა და სთხოვა გიორგის, გამოაგზავნა ფორმალური თხოვნა, რომ საქართველოს მეფედ დაემტკიცებია 1783 წლის ტრაქტატის ძალით. გიორგიმ აასრულა რუსეთის მბრძანებლის სურვილი და თხოვნასთან ერთად გაგზავნა სამი რწმუნებული. ამათ წარუდგინეს პავლე I ნოტა, სადაც იყო აღნიშნული რამოდენიმე მუხლი. გიორგი სთხოვდა რუსეთის მფარველობას, და ამავე დროს მართვა-გამგეობა უნდა დარჩენილიყო ქართველების ხელში! მეფედ გიორგის შემდეგ უნდა ყოფილიყვნენ მისი მემკვიდრეები. საქართველოში რუსის ჯარის გარდა უნდა დაარსებულიყო ეროვნული მილიცია; განჯა და აერევანი საქართველოს უფლების ქვეშ უნდა დარჩენილიყვნენ.. ამ მუხლების გარდა სხვებიც იყო, მაგრამ მათზე არ ღირს ლაპარაკი..

გიორგის თხოვნა დაამტკიცა პავლემ **19 ნოემბერს** 1800 წ. და საჯაროთ მემკვიდრეთ აღიარა დავით ბატონიშვილი გიორგის უფროსი ვაჟი. ამის შესახებ დაიწერა ქაღალდიც. ამგვარად გიორგის სიკვდილის შემდეგ. რომელსაც დღე-დღეზე მოელოდენ, ქართლ-კახეთის მეფედ უნდა ყოფილიყო დავითი. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.. რატომ?. იმიტომ რომ პავლემ თავისი დაპირება არ დაასრულა და გიორგი უმაღლესად მოატყუილა. არ გასულა ერთი თვე პირველი მანიფესტის შემდეგ და პავლემ თავის ნებით დაამტკიცა მეორე მანიფესტი შეერთების შესახებ. ეს მანიფესტი დაიწერა იმ დროს, როცა გიორგი ისევ ცოცხალი იყო. მანიფესტში სხვათა შორის პავლე წერდა, ვასრულებ მეფე გიორგის და მთელი ერის სურვილით. როგორც ხედავთ, ამ დესპოტმა ჩაიდინა დიდი უკანონობა, ვინაიდგან ასეთი სურვილი არ გამოუთქვამს არც საბრალო გიორგის და არც ქართველ ერს!.

პირველი მანიფესტი ჩააბარა პავლემ საქართველოს რწმუნებულებს. მტრები კი—სისწრაფით გაუგზავნა ღენერალ კნორინგს, რომელიც ჩრდილ-კავკასიის ჯარის უფროსი იყო. ამას უნდა გამოეცხადებინა ეს მანიფესტი გიორგის სიკვდილის შემდეგ. ამ გვარად მეფე გიორგის სახელზე იყო დაწერილი ქაღალდი, სადაც უმაღლესად პავლე ამტკიცებდა მის თხოვნას. მეორე მანიფესტის ძალით კი საქართველოს ესპობოდა პოლიტიკური თავისუფლება. ეს ასე მოხდა, საქართველოს რწმუნებულები ისევ ჩრდილო-კავკასიაში იყვნენ, როცა წყალმაკით გიორგი გარდაიცვალა. მაშინათვე კნორინგმა შემოიყვანა თბილისში აუარებელი ჯარი და გამოაცხადა მანიფესტი შეერთების შესახებ. რა ალიაქოთი ტყდებოდა იმ დროს ჩვენში, ამას თქვენ თითონ კარგად წარმოიდგენთ.. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ამ დროს ისე არივ-დარიეს საქმე ახალმა ბატონებმა, რომ ყველას დაავიწყდა საბრალო გიორგის გვამი... იგი სიონის ტაძარში ესვენა თითქმის ორი თვე... იმის დამარხვაზე არავინ ფიქრობდა...

ასე მოისპო საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება. თქვენ ნათლად ხედავთ, რომ ეს გარემოება იყო ძალმომრეობის შედეგი. სრული იმედი გვაქვს,

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ვინაიდან ახლანდელი მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებით ზედმეტ ხარჯებს, რის გამოც გაზეთის გამოცემის საქმე გაძნელებულია, მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერლებს, რომ ხელი შეგვიწყონ. ხვედრი ფულის თავთავის დროზე გადახდით. ვინც **მარტის** დამლევამდე ხვედრ ფულს არ წარმოადგენს, **აპრილის პირველიდან** იძულებული ვიქნებით გაზეთის გზავნა შეუწყვიტოთ.

გაზ. „სამშობლოს“ კანტორა.

რომ განახლებული რუსეთი მოგვანიჭებს იმას, რაც წართმეული იყო, იგი გაასწორებს დესპოტიურ მთავრობის საქციელს, და აღადგენს თავისუფალ საქართველოს, რომელსაც სწყურია განახლებულ რუსეთის მფარველობა?

მაშ გაუმარჯოს დიდებულ, თავისუფალ და განუყოფელ რუსეთს და მასთან ერთად გაუმარჯოს ჩვენ მშვენიერ საქართველოსაც...

მსოფლიო ომი.

დასავლეთის ასპარეზი

პარიზი. 17 მარტი საღამოს ოფიც. სომის ჩრდილოეთით, სომმსა და უაზას შორის გერმანელთა არტილერია ჩვენს პოზიციებს უშენდა, ჩვენ მხნედ ვუპასუხებდით. სუასონის ჩრდ. აღმოსავ. ვრენკისა და მარმოვილის ნაწილებში წინ წავიწიეთ. მეზონ დე შამპანის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა სანგრებიდან გერმანელები განდევნა, აქ ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 60 კაცი დანარჩენ ასპარეზზე დროგამოშვებით ზარბაზნების სროლაა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

— გერმანულ გაზეთ „ფორვერტსში“ იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ რუსეთის წინაამდეგ ბრძოლა დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს და განაგრძობს: გერმანეთი დღეის შემდეგ შეებრძოლება არა მეფეს და მის მოკავშირეთ, არამედ შეებრძოლება ხალხის მმართველობას, რომელიც იმახის, რომ გერმანეთთან ბრძოლა მიტომ გვწადიან, რომ ძირს დავცეთ ბურჯი რეაქციისაო.

— „ლოკალ. ანცაიგერი“ სწერს: ფინლიანდია ახალს რუსეთს ისევე არ უნდა ენდოს, როგორც არ უნდა ნდობოდა ძველს რუსეთს. ფინლიანდიის თავისუფლების მინიჭება მხოლოდ თვალის ახვევაა და ამით ახალ რუსეთს ჰსურს ჯარი გამოიყვანოს რუსეთის ფრონტზე სისხლის დასაღვრელადაო.

— რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო საშინელის სიმკაცრით ილაშქრებს რუსეთის იმპერიალისტების და მის მომხრეების წინაამდეგ და ამბობს: ჩვენ ნებას არ მივცემთ იმპერიალისტებმა თავიანთი განზრახვანი განახორციელონ და ხელში კონსტანტინეპოლის ჩაგდების გულისთვის აუარებელი სისხლი ვაღვრევინოთ მშრომელ ხალხსაო.

— კიევიდან იტყობინებიან: აუარებელ ხალხის თანადასწრებით სტოლიპინის ძეგლი აიღესო.

— პირველ სათათბიროს ნადეპუტატარი ისიდორე რამიშვილი პეტროგრადს ჩასულა. გზად მრავალი აღმაფრთოვანებელი სიტყვა უთქვამს.

გემების აღმაშენებელ ქარხნების მუშებს სოც.-დემ. და ს.-რევ. კრება ჰქონიათ და შემდეგი დადგენილება გამოუტანიათ: მივმართოთ ს.-დ. და ს.-რ., რათა ბოლო მოუღონ ომს. რუსეთის ხალხსა ჰსურს ზავი უკონტრიბუციოდ და უანექსიოდ, იქადაგონ ჯარში ზავის ჩამოსაგდებად. მხოლოდ არ დაჰყარონ იარაღი, ვიდრე გერმანეთის და ავსტრო-უნგრეთის ჯარიც ჩვენს სამართლიან მოთხოვნას, სამართლიან პასუხს არ გასცემენო.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურ[illegible] წინამძღოლს.

გაერთიანებულ თავად აზნაურთა მუდმივი საბჭო, ახალ წესწყობილების დასამკვიდრებლად და მოსამაგრებლად მოუწოდებს თავად-აზნაურთა ყველა წინამძღოლს, რომელთაც სახელმწიფურ მართვა გამგეობაში რაიმე თანამდებობა აქვთ დაკისრებული, სრული თანხმობით იმუშაონ ახალმთავრობასთან იმ ფარგლებში რაც მათ ნაჩვენები ექნებათ.

საბჭოს თავმჯდომარე **სამარინი.**

დასელების ტაქტიკა.

ქართველი ერის უახლოეს საჭიროებისა და შინაურ საქმეებში თავისუფლების მოპოების მედგარი უარყოფილი ჯგუფი მეტად დიპლომატიურად მოქმედობს. მაგრამ არსებულ მომენტში საძნელოდ მიგვაჩნია ჩვენებური ს. დემოკრატებისათვის ამ გზით დიდ ხანს სიარული. მრუდი და მართალი მალე გამოჩნდება და თუ დასელები მთელს ქვეყანას აბრუნებდენ მომავალი განსჯის კიჟინითა და ისტორიის ულმობელი განაჩენით, რათ ავიწყდებათ რომ იგივე ისტორია პასუხს მოსთხოვს მათთვის მოქმედებაში.

ავიღოთ თუნდ ის საკითხი, რაც ამდენ ხანს ყოველსავე სიცოცხლის მოსურნე ერში დიდებითად უნდა გადაწყვეტილიყო, ხოლო ჩვენში ისევ დასელთა წყალობით შურის და მტრობის თესლად გამხდარა: მოგახსენებთ ეროვნულ საკითხსა და ეროვნულ თავისუფლებაზე. ვერ იქნა და ვერ გაინთავისუფლეს თავი დასელებმა „კუდა ხარის“ როლიდან. სხვებზე სწერენ, სხვის თავისუფლების მოპოებას ქებათაქებას ასხმენ, ხოლო ქართველების თავისუფლებაზე კრინტიც არ დაუძრავთ. თუ რაიმე უთქვამთ, მხოლოდ ისეთი საშუალება უჩვენებიათ, რომელიც საერთო ჭრილობას ვერ კურნავს და ნაცვლად კი აგვიანებს წყლულის მორჩენას.

კვირის ნომერში „ერთობა“-ში ქართველი დემოკრატები აღფრთოვანებული არიან ახალი მთავრობის მოქმედებით; ეს აღფრთოვანება კი გამოწვეულია რუსეთის ახალი მთავრობის მიერ ფინლიანდიისათვის თავისუფლების მინიჭებით და პოლონეთისათვის კი დამოუკიდებლობის დაპირებით. აღნიშნულიც აქვთ ლიტვის მომავალი თავისუფლება. ხოლო ამავ დროს თითქო ქართველი ერი არ არსებობს. და მართლაც, ჩვენებურ სოციალ დემოკრატებისთვის არ არსებობს საქართველო; და მათი ორგანო „ერთობა“ ხომ არაა ქართ. ს. დემოკრატთა ორგანო პირიქით, ეს ორგანოა კავკასიის ს. დემოკრატიულ ორგანიზაციისა. ასე რომ კერძოთ ქართულ სოციალ დემოკრატიას ორგანო არა აქვს.

სხვა ერი თავისუფლების მოპოების სურვილია და ჩვენის უარყოფით დასელები „არც წვადსა სწვამენ არც შამფურს“. გვეუბნებიან, აი, ბატონო ხომ ხედავთ თუ ერთა თავისუფლებას ვეწინააღმდეგებით, და ამ წერილზე მიგვითითებენ, ხოლო ჩვენ ალბათ დაგვაყუჩებენ იმის დაპირებით, ვითომ უჩვენოდაც მოგვცემდეს ვინმე რასმე. მაგრამ როგორც წერილის თავში ვსთქვი, ამით დიდხანს ვერ შესძლებენ სიარულს. 1905 ძალით გადმოყვანილი და „მუშათა პარტიათ“ გამოცხადებული ხალხი, ქართველი გლეხობა, მალე დააღწევს თავს ბურუსს და გაწმენდილ ჰაერში იგი კარგათ დაინახავს თავის მტერსა და მოკეთეს. დაინახავს ქართველი ერი რომ თავის თავის უარყოფა. თავისი თავისუფლების მიჩქმალვა, რისაც აქამდი აძხებიებდენ, მიაქანებს მას საშიშ უფსკრულისაკენ. ხოლო თავდაცვის ალღოთი ხალხი გვერდს აუხვევს მის არამკითხე ხელმძღვანელსა და დამრიგებელს, წყევლა კრულვას შეუთვლის მათ და მიეკედლება მის ჭეშმარიტ დამცველთა და მოამაგეთ.

მ. ეგ[illegible]ხელი.

ქრონიკა

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

— **თბილისში** მიღებულ ცნობების მიხედვით, ამიერ კავკასიაში შემოხიზნული ლტოლვილი სომხები თავიანთ სამშობლოში ბრუნდებიან და სომეხთა ორგანიზაციები ცდილობენ ქონებრივად დაეხმარონ მათ.

— მილიციონერებმა ჩხრეკის დროს ამოაჩინეს: მეპურე ოგანეს ტატოიანცთა დამალული 1250 ფ[illegible] ამაღლების ქუჩაზე ბორ[illegible] დამალული 6 ორ ფუთიანი ხორცის კონსერვი; ერთ ალაგას 22 დიდი ნაჭერი ფეხსაცმელის ტყავისა; დესიმოვის ქუჩაზე სიმონ რეშიმოვთან დამალული 187 ფუთი შვეიცარიის ყველი, 133 გირვანქა ერბო და 1 კასრის სპირტი.

— ციმბირიდან დაბრუნდენ საკატორღო მუშაობა მისჯილნი პოლიტიკური დამნაშავენი: ზაუტაშვილი ზაქარია, ვანდელიანი დავით, ზაიტაშვილი ივანე, კაკვილაშვილი მაქრო.

— ქართველ მასწავლებელთა კავშირი. 19 მარტს ქართულ გიმნაზიაში კრება ჰქონდათ ქართველ მასწავლებლებს და დაადგინეს დაარსონ ქართველ მასწავლებელთა კავშირი პროფესიონალ ხასიათისა.

— მასწავლებელთა რეზოლიუცია. 18 მარტს, საღამოს, თბილისის ყველა ტიპის სკოლების მასწავლებლების კრებამ დაადგინა დაუყონებლივ გადაყენებულ იქმნენ თანამდებობიდან სამოსწავლო ოლქის ინსპეკტორები და თბილისის გუბერნიის სასახლო სკოლების დირექტორი და ინსპექტორები.

კომისარების მიმართვა ქართველ ერისადმი.

19 მარტს სოციალისტ ფედერალისტთა მიტინგის შემდეგ ხალხი გაშლილ წითელ დროშებით, რომლებზედაც ეწერა: „გაუმარჯოს ავტონომიურ საქართველოს“, „თავისუფალ საქართველოს, თავისუფალ რუსეთში“ და სხვა, ფუქრის გორიდან დაეშვა. გზაში მრავალი ქართველობა ემატებოდა და ნაშუადღევის 3 საათისათვის პოლიციის სასახლესთან მივიდა. აივანზედ დელეგაციის თავმჯდომარე ხარლამოვი და დელეგაციის წევრი კიტა აბაშიძე გამოვიდნენ.

მათს გამოსვლას დიდის ოვაციებით შეხვდა მრავლად შეგროვილი ხალხი, რომელსაც კიტა აბაშიძემ შემდეგის სიტყვით მიმართა: „ამხანაგებო და მოქალაქენო! თქვენს წინაშე სდგას ამიერ კავკასიის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე ყველასაგან პატივცემული დეპუტატი ხარლამოვი. ეს ის რუსის ინტელიგენტია, 116 წელი რომ ელით და რომლის ლოდინში თქვენ მრავალი ტანჯვა განიცადეთ. იგი თავისუფლების მახარობელია, ქართველი ერის თავისუფლებისაო. კიტა აბაშიძემ აღნიშნა თუ რა სურს ამ ხალხს, აქ რომ შეკრებილა და მთელს ქართველ ერს, მოუწოდა ხალხს გამარჯვება უსურვოს დროებით მთავრობას, მის თავმჯდომარეს თავად ლვოვს, ქართველ ერის კეთილშობილ მეგობარ კერენსკის, ამიერ კავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს დეპუტატ ხარლამოვს.

აღელვებულმა ხარლამოვმა კიტა აბაშიძე გადაკოცნა და სთხოვა მას გადაეცით ხალხს, რომ ხმა სრულებით წაერთვა და ვსწუხვარ, რომ არ შემიძლია ვილაპარაკოო. ილაპარაკა აგრეთვე კომისარმა ჯაფაროვმა.

კიტა აბაშიძის თხოვნით, ხალხი დაიშალა, რათა შეძლება მიეცათ კომისარებისათვის თავის მუშაობა განეგრძოთ.

— კერენსკის დეპეშა კიტა აბაშიძისადმი: „გითვლით სალამს. თავადმა ლვოვმა დეპეშით შეატყობინა თბილისში, რომ აუცილებლად საჭიროა, თქვენ დელეგაციაში იყოთ. მთავრობა საჭიროთ სთვლის კავკასიის მოწყობისათვის ორივე სოციალისტურ მიმართულებას თავთავისი წარმომადგენელი ჰყავდეს. მრწამს, რომ საერთო ძალით თქვენ მოამზადებთ საქართველოს ცხოვრების ახალ ფორმებისაკენ.

ჟურნალისტთა ბიურო.

დაარსდა ჟურნალისტთა ბიურო, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექმნება ამიერკავკასიის დროებით მთავრობასთან. ბიუროში არჩეულ იქმნენ: ლელი ჯაფარიძე, ს. ნაროდინი („კიევსკაია მისლის“ თანამშრომელი), ზახარიანი და შიშმარევი. ბიუროს კანცელარია მოთავსებულია ნამეფისნაცვლარის ნასასახლარში.

არტაანის კომიტეტი.

უეცრად გავრცელდა ხმა, რუსეთში დაემხო ძველი მთავრობა და ძველის მაგიერ დაარსდა ახალი მთავრობაო; აქა-იქ გაისმოდა ძველი მთავრობის მომხრეები თავისუფლებას ღალატობენ, ჯარის კაცებში აჯანყებას აწყობენ, და აპირობენ

მოქალაქეთა თავს დაცემას და მათი ქონების განადგურებასო. მაგრამ არტაანში როგორც სხვა ქალაქებში, ამ ყველასათვის სასურველ ახალმთავრობას ყავს დარაჯები, რომელიც მეტად ფრთხილად ეკიდებიან მის ხელშეუხლელ დამყარებას და გაძლიერებას. სწორედ ეს დარაჯები შეიკრიბენ და იქონიეს მოლაპარაკება რათა დაუყონებლივ შეედგინათ არტაანში საზოგადო წესიერების დამცველი კომიტეტი; მთავარი მიზანი კომიტეტისა არის მიიღოს ყოველგვარი ზომა ხალხში წეს-რიგის დასაცველად; ძალადობა და კერძო საკუთრების თავდაცემა არ მომხდარიყო და ამითი ახალი მთავრობის მტერს და მოღალატეს არ გაეხარებინა. შეიკრიბა დიდძალი ხალხი, მოქალაქეები, ვაჭრები, მემამულენი, მოხელეები და აირჩიეს კომიტეტი, ცხრა კაცისაგან შემდგარი, სახელწოდებით: არტაანის საზოგადო წესიერების დამცველი კომიტეტი; კომიტეტში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: გამომძიებელი ხარაიძე, მასწავლებლები: ჯიქაევი, ქსანფოპულო, მოლჩანოვი, მღ. ივანოვი, (ცნობილია კარგი მიმართულებით), ბეითალი დავტიანი, მომრიგებელი მოსამართლე ტატარიანოვი, ინჟინერი ჯაფარიძე და რუსაკი. კომიტეტმა სთხოვა ღვინის ვაჭრებს ჯარის-კაცებისთვის და საერთოთ ღვინო არ გაეყიდნათ. მოიწოდა თვითეულ ნაწილში : ჯარის—კაცებიდან ამორჩეულ დელეგატებს და მათ გაუთვალისწინა და განუმარტა, როგორ უნდა გვესმოდეს ახალი მთავრობა, რა არის უმთავრესი ჩვენი მოვალეობა შექმნილი თავისუფლების დასაცველად, რას უნდა მოვიმოქმედებდეთ და რა გზას უნდა დავადგეთ. როდესაც დეპუტატებმა ჯეროვნულად შეიგნეს ყველაფერი კომიტეტს სიტყვა მისცეს, რომ არავითარ უწესოებას აღარ მოახდენენ. კომიტეტმა მაინც, რომ ყოველგვარი ხიფათი თავიდან აეცილებინა დარაჯობა დანიშნა, და ყოველ ღამეს სამი წევრი დარაჯათ დანიშნა. მიღებული ზომების მეოხებით არავითარი უწესოება არ მომხდარა და დღეს არტაანში თითქმის არ არის ისეთი კაცი, რომ მომენტის მთავარი აზრი შეგნებული არ ქონდეს. ისეთი სიწყნარე და მშვიდობიანობა დამყარდა რომ მნახველს გაუკვირდება. კომიტეტმა 10 მარტს შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნა სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს როდზიანკოს: არტაანის საზოგადოებრივი წესიერების დამცველი კომიტეტი მიესალმება ახალ მთავრობას, შორეული კუთხიდან უმოწმებს მას სრულ მშვიდობიანობას და აღფრთოვანებას და ელის ინსტრუქციებს.

არტაანი 11 მარტი.

ქს. პერევისელი.

მოწერილი ამბები.

ბოროტმოქმედების აღმოჩენა. მკითხველმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ ამ რამდენსამე ხნის წინად, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ძველი მთავრობა თავის ძლიერებაში იყო, სოფ. შუქრუთში გაძარცვეს მომხმარებელი საზოგადოება, საიდანაც გაიტაცეს 12000 მანეთი.

როგორც ეხლა გამოაშკარავდა ბოროტმოქმედება ჩაუდენიათ შუქრუთის მამასახლისისა და ჭიათურის ბოქაულს მელხაზიშვილს. ბოროტმოქმედება გამოაშკარავა ერთმა მეურმემ. ეს მეურმე თურმე ჭიათურიდან სახლისკენ მიდიოდა ღამე. როცა მიახლოებულა საზოგადო დუქანს მამასახლისი მისულა და უთქვამს აი ეს ყუთი უნდა ჩამიტანო ბოქაულთან, შიგ საბუთის ქაღალდები აწყვია არავის უთხრაო. მეურმეს შეუსრულებია მამასახლისის ბრძანება, წაუღიათ ყუთი და ძლივს შეუტანიათ ბოქაულის სახლში. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა შუქრუთის მომხმარებელი საზოგადოების დუქნის გატეხის ამბავი გაიგეს, გლეხი მეურმე მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ამ საქმის ჩამდენი უთუოდ მამასახლისი და ბოქაული იქნებოდაო, მაგრამ ვერ გაუმჟღავნებია შიშის გამო დღემდი დღეს კი თამამად აუწყა საზოგადოებას და ყველა ყაჩაღებიც აღმოაჩინეს, კასის ყუთი რგანში გაუტანიათ. გამძარცველები დატუსაღებული არიან.

დ. ხარაგოული. თანახმად საგუბერნიო აღმასრულებელი კომტეტის განკარგულებისა ადგილობრივ სამილიციო რაიონის უმფროსად დროებით ინიშნება 202 ქვეითი პოლკის ჯარის კაცი, პოდპორუჩიკი, ყოფილი სახალხო მასწავლებელი, მიხეილგიორგის ძე დეკანოსიძე.

სოფ. ლეღვანში. 13 მარტს, საზოგადო მიტინგმა ყოფილი ადგილობრივი მამასახლისის კანცელარიის მწერალი—მუმლაძე სრულიად გააძევა საზოგადოებიდან, როგორც საზიზღარი და მავნე პიროვნება.

დ. ბელაგორი. თანახმად ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებისა მღვდელი ანანია კუჩაძე, როგორც ყოფილი პოლიციის აგენტი, სრულიად გადევნილ იქნა ყოველგვარი კრებისაგან და მწევრობისაგანაც.

დ. სიღნაღი. 1 მარტს საერობო დარაჯმა ს. კარდანახის მცხოვრებს კოჰალისა და ცალი თვალით ბრმას ს. ხეჩუაშვილს სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების ბილეთი მოსთხოვა; გლეხმა ბილეთი წარუდგინა მაგრამ დარაჯმა იგი მაინც პოლიციაში წაიყვანა. გზაში ფული მოსთხოვა და გაშვებას პირდებოდა, რაზედაც იგი არ დასთანხმდა; ამისათვის ამაყმა დარაჯმა მას თოფი ესროლა მაგრამ აუცილდა, მეორედაც დააპირა სროლა მაგრამ გამწარებულმა ხეჩუაშვილმა იძრო ხანჯალი და დარაჯი იქვე მოჰკლა, იგი ამ დღესვე დააპატიმრეს მაგრამ მეორე დღეს ეს დიადი ამბავი მოხდა დიდი მადლობით ხალხმა გაანთავისუფლა.

სოფ. კაპანა (სამეგრელო). სამწუხარო ამ ომიანობის დროს, ყველა საქართველოს დაბა-ქალაქებში მცხოვრებ ქართველებმა, და განსაკუთრებით სოფლებში მცხოვრებლება დიდი განსაცდელი გადაიტანენ, (უპურობასა და წყალდიდობის გამო) და ამ ბოლო დროს უარესიც მოელოდა ისედაც ღარიბი სოფელი.

დღეს რადგანაც გათენდა სასიხარულო ბრწყინვალე დღეს ყველა ივიწყებს თავთავის გაჭირვებას, და მზათ არიან ძვირფას სამშობლო საქართველოსთვის თავი შესწირონ გათამამებულ მტერს.

ელ—ია.

სოფ **შრომა** (სიღნ. მაზრა) თებერვლის დამლევს აქ მოხდა შრომის კოოპერატივის „იმედი“-ს წლიური კრება. გამგეობის თავჯდომარემ ი. ჩხატარაიშვილმა განუმარტა საზოგადოებას დღიდგან ამხანობის დაარსებისა ყოველგვარი ანგარიში; აღმოჩნდა რომ 1916 წლის ოკტომბრის 20 რიცხვიდან წმინდა მოგება დარჩენილა 860 მანეთი. დაარსების დღეს წევრი ყოფილა მხოლოდ 30 და დღემდის ეს რიცხვი 300-ამდე ასულა. ამ რიცხვში 40 რუსია ამხანაგობამ გამგეობას მადლობა გამოუცხადა ენერგიული შრომისათვის და ბოლოს ერთხმათ აირჩიეს ძველები როგორც გამგეობაში აგრეთვე სარევიზიო კომისიაში. დაუნიშნეს გამგეობის თავმჯდომარეს 360 მანეთი, ხოლო პასუხის მგებელ ნოქარს ლენტორ ბურჯანაძეს 720 მანეთი.

— სოფ. ალექსეევკა (სიღნ, მაზრა). 17 მარტს სოფ. ყვირილის მცხოვრები გლეხი გ. ხიხაძე, რომელიც გუთნით თამბაქოსათვის სახაზინო მიწას ხნავდა ვიღაცა უცნობმა თოფით მოჰკლა და მიიმალა. როგორც ამბობენ მიწა, რომელშიდაც გლეხი მუშაობდა წინეთ რუსებს ჰქონებიათ აღებული მაგრამ მეტი ღალის გადახდით ხიხაძეს აუღია და წასულ წელში 40000 მანეთი ფულიც მოუგია. წელს რუსის მცხოვრებთ ეს მიწა მისთვის კვლავ მოუთხოვიათ, მაგრამ მას არ მიუცია და მისი მკვლელობაც ამ ნიადაგზე მომხდარა.

ნიავი.

ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტის საყურადღებოთ.

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მრავალი საკეთილდღეო ცვლილება შეიტანა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალი ცხოვრების სათავეში დღეს უკვე ხალხისაგან არჩეული და ნდობით აღჭურვილი პირებია. ეჭვი არ არის, რომ მომავალში გარემოება კიდევ უფრო სასურველათ მოეწყობა. საყურადღებო ის არის, რომ ახალი მთავრობა დიდს აქტივობას იჩენს სურსათის მოგვარების საქმეში, რაც იქედან სჩანს, რომ უკვე სწარმოებს დაჩქარებითი შეზიდვა სანოვაგისა ამა თუ იმ რუსეთის ქალაქში; და იქ, სადაც პური სრულიად არ იყო, ეხლა უკვე საკმაოთ მოიპოვება. შიმშილობა თან და თან ნელდება და ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრებაც დამშვიდებულსა და კმაყოფილობის სახეს ღებულობს. მეორე სასიხარულო მოვლენათ ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ის საზღაპრო სიძვირე რომელიც აქამდის იყო, ახალი მთავრობის მეოხებით უკვე თანდათან ეცემა, ყოველდღე იუწყებიან რუსულ გაზეთებში რომ: ამა და ამ ქალაქში სანოვაგესა და სხვა საქონლებზე ფასებმა საგრძნობლად დაიკლოო. ყველასათვის სასიხარულო და ძლიერ სასიამოვნოა ასეთი მოვლენა. მაგრამ ამასთანავე, სამწუხაროთ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქი ქუთაისი ამ მხრით ისევ ძველებურ გალიპოტში სდგას. სანოვაგე თუმცა ეხლაც აქაც საკმაოთ მოიპოვება, მაგრამ შექმნილმა სიძვირემ ლამის არის გაგვყიდოს.

აქაური ვაჭრები რაც ძალა და ღონე შესწევთ ყოველ დღე საქონელს ფასს უმატებენ. სანოვაგეზედაც ძველებურათ [illegible] მეტი გადიდებული ფასებია. საჭიროა ასეთ არა სასურველ მდგომარეობას სათანადო ყურადღება მიაქციოს ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა და შეძლებისდაგვარათ ფასებიც შეამციროს ყველა ნაწარმოებზედ, თორემ დღევანდელი დღე სწორედ აუტანელი შეიქმნა ქალაქის მცხოვრებთათვის. ამრიგათ, ჩვენის აზრით, პირველი საკითხი აღმასრულებელ კომიტეტისა უნდა იქნეს რასაკვირველია სურსათისათვის ზრუნვა და ამასთანავე სხვა და სხვა საქონლებზედ განსაზღვრული ნიხრის დაწესება. და აი ამ გზით აღმასრულებელი კომიტეტი მიზანსაც მიაღწევს და ხალხშიაც დიდს ნდობას დაიმსახურებს. საჭიროა დროზედ აილაგმოს ყოველი გამყიდველის, როგორც სოფლელი გლეხის ისე ვაჭრის მადა, დაჩქარებით მოველით ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; საჭირო აღარ არის დაგვიანება.

სვ. კანდელაკი.

მოწოდება მოწაფეებისადმი.

სააღდგომო უქმეების გამო მოწაფეები დათხოვნილი იქნებიან და მეტად სასურველია, რომ დღევანდელ მომენტის დროს ტყვილად არ იქმნას დაკარგული და რამე სარგებლობა მოუტანოთ ჩვენ ერს. თქვენ იცით, რომ დღეს სოფელი გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება მუშა ხელის უქონლობის გამო და ამით განსაცდელით მოელის ჩვენ სამშობლოს: ბევრი ადგილები დაუთესელი დარჩება და ამ გარემოებას უსათუოდ შიმშილობა მოყვება და ამასთანავე სიძვირეც, რასაც თქვენ კარგად გრძნობთ ქალაქ ადგილას. გარდა ამისა ვინ იცის, როგორ დატრიალდეს საქმე რუსეთში, საიდანაც ჩვენ პური მოგვდის, ამ შემთხვევაში ჩვენ წინდახედული და მომზადებული უნდა ვიყოთ, რომ მოულოდნელ შემთხვევს ადგილი არ ჰქონდეს. გაჭირვების ასაცილებლად საჭიროა, რომ თქვენ ჯგუფ-ჯგუფებად გაეშუროთ სოფლებში და მეურნეობაში დაეხმაროთ სოფლელებს. ეს ძნელი საქმე არ არის, მით უმეტეს რომ ბევრი თქვენგანი სოფლიდან არის და ვინც ქალაქში სცხოვრობს ამათ შეუძლიათ თავის ამხანაგებთან მივიდნენ სოფლად. ეხლავე საჭიროა რომ თქვენ მოაწესრიგოთ ეს საქმე და ამით სარგებლობა მოუტანოთ ჩვენ სამშობლოს საქმით, თორემ მარტო სიტყვებით და ბულვარის გარეშემო სიარულით არაფერი არ გაკეთდება. რუსეთში შარშან მოწაფეებმა ამისთანა მაგალითი გამოიჩინეს და იმედია, რომ თქვენც მათ არ ჩამოშორდებით.

გ. არ—ლი.

სარაყამიში.

(საკუთ. კორესპონდენტისაგან.)

9 მარტს აქ, სადგურზე პოლკოვნიკ ტურჩენევმა პოზიციიდგან ჩამოიყვანა მთელი ბათალიონი ჯარისკაცთა ეშელონისა. ადგილობრივ სალდათთა და ოფიცერთა დელეგატებმა გაიგეს რა, რომ ახლად მოსულმა ეშელონობმა არა იციან რა დღევანდელ დიდი სახელმწიფო რეფორმებისა [illegible] მივიდნენ მატარებლის პირველ კლასის [illegible] ოთახში, სადაც ეშელონის უმფროსი პოლკოვნიკი ტურჩენევი იმყოფებოდა და ახლად მოპოებულ მიმართვის სიტყვებით შეეკითხნენ მას: 2 —Г-нъ ПОЛКОВНИКЪ ВЫЙДИТЕ ИЗЪ КОМНАТЫ МГЧ СЪ ВАШИ ДѢЛО ИМѢЕКЪ. პოლკოვნიკმა გაიგო რა რაშიდაც იყო საქმე, დელეგატებს უდიერი სიტყვით მიმართა **Пошлите къ чорту!** —დელეგატებმა კიდევ გააფრთხილეს პოლკოვნიკი რომ თუ ის არ გამოვა გარედ, [illegible] იქნება აქვე. ისედაც საეჭო რეფორმებით გაბრუებულმა ძველი რეჟიმის პოლკოვნიკმა ვერ მოითმინა სალდათების ასეთი თავხედობა, რევოლვერი ამოიღო და ორი დელეგატი (ერთი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი) დასჭრა. შემდეგ გაბრაზებული გარედ გამოვიდა და დაინახა რა რომ უკვე დავუტუსაღებიათ, კარებთან თოფიანი სალდათები დგანან, ეშელონს უბრძანა „**Баталіонъ въ ружье.**“ ამ სიტყვების გათავება მან ვერ მოასწრო, რომ უკანიდგან სალდათმა ისე მაგრად დაჰკრა თოფის კონდახი თავში, რომ პოლკოვნიკი იქვე წაიქცა· აქ კიდევ ეშელონისვე სალდათმა შტიკი მუცელში ჩასცა, რომლის შემდეგ პოლკოვნიკმა სული განუტევა. ვამს სალდათები შემოეხვივნენ, იგი შტიკზე ააგეს და რამოდენიმე მანძილი ასე გაატარეს. როგორც სამართლიანად დასჯილ პოლკოვნიკს სალდათებმა გადმოგვცეს, იგი არიგებდა ჯარს: არ დაიჯეროთ, ყველაფერი ტყუილია. მეფე ისევ ტახტზეა და არავითარი ცვლილება არ მომხდარა სახელმწიფო ცხოვრებაში. სულელია ის, ვინც გაზეთებს და ტელეგრამას დაუჯერებსო და სხვა... ამავე დღეს სარიყამიშში სალდათებმა ძველი რეჟიმის ოფიცრები კაპიტანი მოკლეს და მრავალი კიდევ დაატუსაღეს

სალდათების აღფრთოვანება და თანაგრძნობა ახალსახელმწიფო მმართველობისადმი უსაზღვროა.

იროდიონ ხანთაძე

ამერიკის დახმარება.

ლონდონი 16 მარ. ვაშინგტონიდან იტყობინებიან ოთხთა შეთანხმებას ფინანსთა მინისტრმა სამინისტრო საბჭოში განმარტა ის საშუალებანი, რომლითაც დახმარება უნდა გაეწიოს ოთხთა შეთანხმებას: 1) სესხათ მისცენ 1 მილიარდი ფრანკი რომლის გარანტიას უნდა იძლეოდეს შეერთებული შტატები 2) მატერიალური დახმარება მოკავშირეთა მთავრობის კანტროლის ქვეშ 3) მობილიზაცია ამერიკის ფლოტისა მოწინააღმდეგეთა წყალქვეშებთან საბრძოლველათ. 4) 10,000 კაცისაგან შემდგარ საექსპედიციო კორპუსის გაგზავნა დასავლეთ ასპარეზზე 5) მომზადება საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოსაღებათ 6) საბარგო გემებისაგან ნაციონალურ ფლოტის შექმნა. ახალი საბარგო გემების აშენება, წყალქვეშა ბრძოლაში დაკარგულ წყალწყვის შესავსებათ, რომლითაც შესაძლებელი იქნება წყალქვეშა ბლოკადის მიერ გამოწვეულ შიშის თავიდან აცილება.

მადრიდი. 16 მარტს. ორშაბათს სახალხო სახლში წაკითხულ მანიფესტის პოლიტიკურ ხასიათის გამო მთავრობამ ძლიერი ზომები მიიღო წინააღმდეგობა გაუწიოს მას, რადგანაც ის აჯანყებისადმი მოწოდებათ მიაჩნიათ. მანიფესტის გამოქვეყნება აკრძალეს. მანიფესტთა საბჭომ გადასწყვიტა საკონსტიტუციო გარანტიათა მოსპობა და სახალხო სახლი დახურა მადრიდში სრული მშვიდობიანობაა.

რუსეთი.

დორპატის. უნივერსიტეტში. სახალხო განათლების მინისტრმა დააკმაყოფილა დორპატის უნივერსიტეტის პროფესორების შუამდგომლობა მაკედონობის პირველ აპრილიდან [illegible] შესახებ ადგილობრივ [illegible]რობების გამო.

— ყველა ქალაქში არსდება სხვა და სხვა ორგანიზაციები, კომისია და კომიტეტები რომელნიც გაუძღვებიან ხალხის განათლებასა და გათვით ცნობიერების საქმეს. ლექციებისა, საუბრისა და კითხვების მოსაწყობათ თანხას აგროვებენ მაგალითად პერმის სასწრაფო საგუბერნიო საერობო კრებამ გადასდო 50 ათასი მანეთი.

— მოსკოვის დეპუტატთა საბჭომ გადასწყვიტა ჯერ ჯერობით თავი შეიკავოს 8 საათის სამუშაო დღის შემოღების მოთხოვნაზე.

სარიყამიშის „თურქესტანის მხარის“ ლაზარეთში მყოფ ჯარის-კაცთა სია.

1) გაბელაშვილი ალექსანდრე სოსოს ძე (თბილ. გუბერნია გორის მაზრა, სოფ. დვანი)

2) რამიშვილი იოსებ პეტრეს ძე (ქუთაის. გუბერ. ოზურგეთ. მაზრა, სოფელი ლახოური)

3) მიდელაური სიმონ დავითის ძე (თბილ. გუბ. თიანეთის მაზრა სოფ. მაღაროსკარი)

4) მახათაძე ვასილი (სანიტარი 14 ევაკუაც. სამხედრო პუნქტისა)

4) თოდერდავა ისაკ საბას ძე (ქუთ. გუბ. ზუგდ. სოფ. მუხური.)

6) ხმალაძე გიორგი ზაქროს ძე (თბილ. გუბ. სიღნაღის მაზრა სოფ. ნუკრიანი)

7) ქურდუმაძე სიმ. ბიჭიას ძე (ქუთ. გუბ. სენაკის მაზრა სოფ. სამიქაო.)

8) კოჩუა სტეფანე ეტოტის ძე (ქუთ. გუბ. ზუგ მაზ. სოფ. ლეგდიდი)

ზემოხსენებული ავადმყოფები, გარდა ორისა, სიპნოი ტიფით არიან შეპყრობილი.

მათი მისამართი: **С Сарыкамышъ, лазаретъ туркестанскаго края“** პირველი ექვსის **1-ая палата,** და დანარჩენის **2 ая.**

რედაქტორი **ნ. ლორთქიფანიძე.**
გამომცემელი ამხ. **სამშობლო**

რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	8 ს.	წ.
„	— საღამ.	8 ს. 50	„
ბათომიდან	— დილით —	12 ს. 40	„
„	— ღამის —	1 ს.	„
ფოთიდან	— დილის —	10 ს. 26	„
ტყიბულიდან	— საღამოს —	6 ს. 50	„
მარელისიდან	— დილის —	9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	11 ს. —	„
„	— ღამის —	11 ს. 34	„
ბათომისაკენ	- საღამოს	7 ს. 5	„
„	— დილის —	7 ს.	„
ფოთისაკენ	— დილით —	4 ს.	„
ტყიბულისაკენ	— დილის —	8 ს. 40	„
მარელისაკენ	— დილით —	5 ს. 20	„

განათლების და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ჩ. ფ. ფილოიანისა·

ორივე სქესისათვის (თბილისში, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976).
იხსვნის მიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყო თუთხმეტ იანვარს.
პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში. 11 თვ.

თუ გსურთ მიიღოთ საუკეთესო ფოტოგრაფიული სურათები, უსათუოდ შედით

პირველ ხარისხოვან ფოტოგრაფიაში „ხელოვნება“-ში·

რომელიც გაიხსნა ამა 1917 წ. 1 იანვრიდან ქუთაისში ქარვასლის ქუჩა, ვ. გრიკუროვის სახლში, კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ, მესამე სართულში, შესავალი ვარანცოვისა და ქარვასლის ქუჩ.

ფოტოგრაფია ღებულობს ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს:
ფოტოგრავიურები მიუნხენის ფოტოგრაფიის სკოლისებური,
პორტრეტები, ფაიფურზე, გადიდება **პორტრეტებისა**, რა ზომისაც საჭიროა.

ფასები ძლიერ მცირეა. მოსწავლეებს და სალდათებს დაეთმობათ 20% არსებულ ფასზე. დაკვეთილი საქმე სრულდება **საჩქაროთ და კეთილსინდისიერად**. რაშიც გთხოვთ დარწმუნდეთ. სურათებს იღებს რუსეთის სახაზინო ფოტოგრაფიის თანამშრომელი ფოტოგრაფი **ს. ლარიბაშვილი.** 2 თ.

განცხადება.

ძმათა ქორქოლაძეების მაღაზიაში მიღებულია საუკეთესო ხარისხის

საპონის „სოდა“,

აგრეთვე ყოველივე ბაკალიური საქონლები.

ფასები ყველაფერზედ ზომიერია. 10 თვ.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქ., სახლი [illegible]